

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N4 ოქმი

ქ.თბილისი

12.03.2015

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13:30 სთ-ზე

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ კომისიის მეოთხე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 12 მარტს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - მერაბ ფოლადაშვილის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მიერ N02-40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შემდეგი წევრები:

1. კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი**;
2. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - **დავით ძამამია**;
3. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე**;
4. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მალრაძე**;
5. კომისიის წევრი- ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მრჩეველი - **არჩილ ბარბაქაძე**

კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი**.

George  
John  
G. G. G.  
John

## დღის წესრიგი:

1) ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2015 წლის 10 მარტის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, კონკურსანტის - „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის ICOMOS/საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვისა და გეგმა-გრაფიკის განხილვა და მათი შესაბამისობის დადგენა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან.

## კომისიამ მოისმინა და განიხილა:

1) კომისიის თავმჯდომარემ - მერაბ ფოლადაშვილმა მოახსენა კომისიას, რომ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს 2015 წლის 10 მარტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 2015 წლის 11 მარტს, კონკურსანტის - „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის ICOMOS/საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრაფიკი. (იხ. დანართი N1)

2) კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და გეგმა-გრაფიკის შესაბამისობის თაობაზე საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან. კომისიის თავმჯდომარის - მერაბ ფოლადაშვილის განცხადებით, 2015 წლის 11 მარტს, კონკურსანტის - „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის ICOMOS/საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების დაზუსტებული 4 თვიანი გეგმა-გრაფიკი მოიცავს პროექტის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის სამუშაოებს, ხოლო დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა მოიცავს პროექტის საინჟინრო, კონსტრუქციული ნაწილის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის მომსახურების ხარჯს.

3) გამომდინარე იქედან, რომ „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის ICOMOS/საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრაფიკი, ასევე საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, კომისიის წევრთა მიერ მოხდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის N36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N1477 მონაწილე კონკურსანტის - „ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის ICOMOS/საქართველოს“ საკონკურსო წინადადების შეფასება (დანართი N2,3,4,5,6).